სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

28 აპრილი, 2025 წელი

ბრძანება № 01-02/87

„ბსუ-ს მოკლევადიან ტრენინგ-მოდულზე „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ მსმენელთა მიღების გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 16 აპრილის N01-02/71 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №68/ნ ბრძანების, ..ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, ..ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №01-02/193 ბრძანების (ცვლილება 11.12.2024 წლის №01-02/208 ბრძანებით), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მასწავლებელთა გადამზადებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო ტრენინგ-მოდულის „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ დამტკიცების შესახებ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 30 ივნისის N01-02/101 ბრძანების და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მასწავლებელთა გადამზადებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულების კოორდინატორის, ასოც. პროფ. თ. ავალიანის 2024 წლის 25 აპრილის MES 4 25 0000441968 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. „ბსუ-ს მოკლევადიან ტრენინგ-მოდულზე „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ მსმენელთა მიღების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის **2025 წლის 16 აპრილის N01-02/71 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება,** კერძოდ, ბრძანების **მე-2 პუნქტში ჩანაწერი:** „2025 წლის 17 აპრილიდან 26 აპრილის ჩათვლით“ შეიცვალოს ჩანაწერით „2025 წლის 17 აპრილიდან 12 მაისის ჩათვლით“ და საბოლოოდ მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,2. ტრენინგ-მოდულზე მსურველთა რეგისტრაცია (განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის წარმოდგენა) განხორციელდეს 2025 წლის 17 აპრილიდან 12 მაისის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა), დილის 10:00 საათიდან საღამოს 18:00 საათამდე (ჯგუფის შევსების შემთხვევაში შეწყდეს რეგისტრაცია ვადაზე ადრე).“.

2. წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით შესაბამისი განცხადება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ტექსტის მომზადება უზრუნველყოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მასწავლებელთა

გადამზადებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულების კოორდინატორმა, თემურ ავალიანმა).

3. ბრძანება განთავსდეს ბსუ ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს (ცენტრმა დაუგზავნოს მის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი ტიტე არუშიძე